წლიწადი მე-2 | ტელეფონი № 76. | პარასკევი 8 ივლისი

# სამშობლო

№ 399

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე... ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

დიდათ შეწუხებულნი დარია დავითის ასული ქორქაშვილი და ნიკოლოზ გიორგის ძე ჩიქოვანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ სამშაბათს, 5 ივლისს უეცრად გარდაიცვალა, პირველის ძვირფასი ძმისწული და მეორის საყვარელი ბიძაშვილი

ინჟენერი გრიგოლ ლუკას ძე ქორქაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე, მიცვალებულის სადგომში (ქუთაისი ივანოვის ქუჩა, ჰიჰინაძის სახლი) საღამოს 7 საათზე. გამოსვენება პარასკევს, 8 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. დასამარება საფირჩხიის სასაფლაოზე.

239 2—2

ღრმათ შეწუხებული ანასტასია, ეკატერინე და კონსტანტინე ნიკოლაძეები, ლევან და ირაკლი წერეთლები და ელენე დემოლონ—წერეთელი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცარ გარდაცვალებას სამშაბათს, 5 ივლისს, პირველების ძვირფასი დისწულის და უკანასკნელების საყვარელი დეიდაშვილის

ინჟენერ გრიგოლ ლუკას ძე ქორქაშვილის

პანაშვიდები ყოველ დღე მიცვალებულის სადგომში (ქუთაისი ივანოვის ქუჩა, ჰიჰინაძის სახლი) საღამოს 7 საათზე. გამოსვენება პარასკევს, 8 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. დასამარება საფირჩხიის სასაფლაოზე.

240 2—2

დიდათ შეწუხებულნი ქრისტინე დავითის ასული ბახტაძისა და ნატალია, ელენე, სერგია, არკადი და ლუკა ბახტაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცარ გარდაცვალებას სამშაბათს, 5 ივლისს, პირველის საყვარელი ძმის წულის და დანარჩენების ძვირფასი ბიძაშვილის ინჟენერის

გრიგოლ ლუკას ძის ქორქაშვილის

პანაშვიდები ყოველდღე მიცვალებულის სადგომში (ქუთაისი, ივანოვის ქუჩა, ჰიჰინაძის სახლი) საღამოს 7 საათზე. გამოსვენება პარასკევს, 8 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. დასამარება საფიჩხიის სასაფლაოზე.

237—2—2

ღრმათ შეწუხებულნი ოლღა და ოლიმპიადა ლუკას ასულნი, აკაკი და ალექსანდრე ლუკას ძენი ქორქაშვილები და მარიამ ლუკას ასული კნ ჩიქოვანისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი ძმის ინჟენერ

გრიგოლ ლუკას ძის ქორქაშვილის

უეცარ გარდაცვალებას სამშაბათს, 5 ივლისს. პანაშვიდები ყოველ დღე მიცვალებულის სადგომში, (ქუთაისი, ივანოვის ქუჩა, ჰიჰინაძის სახლი) საღამოს 7 საათზე. გამოსვენება პარასკევს, 8 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. დასამარება საფიჩხიის სასაფლაოზე.

238 2—2

ქუთაისის საზოგადო საკრებულოს მამასახლისთა საბჭო მწუხარებით აუწყებს თავის წევრებს საკრებულოს წევრის

ინჟინერის გრიგოლ ლუკას ძე ქორქაშვილის

გადაცვალებას და სთხოვს დაესწრონ გადაცვალებულის გამოსვენებას, რომელიც დანიშნულია პარასკევს, 8 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, თავის ბინიდან (ივანოვის ქუჩა, ჰიჰინაძის სახლი), საფიჩხიის სასაფლაოზე. პარასკევს, დაკრძალვის დღეს, საკრებულოს საზაფხულო შენობაში. მუსიკა არ დაუკრავს.

**გიორგი ზდანოვიჩი** მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კავკასიის ფრონტზე მოკლეს მისი ძვირფასი ძმისწული

კონსტანტინე (კოწია) ვასილის ძე ქორქაშვილი

რომლის სულის მოსახსენებლათაც დანიშნულია პანაშვიდი მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე კვირას დღის თორმეტ საათზე

242 2—1

მწუხარებაში მყოფნი ქმარი, თ-დი დიმიტრი სვიმონის ძე წერეთელი და შვილები მისი სამსონ და ელენე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 9 ივლისს, დღით შაბათს, გადახდილი იქნება საჩხერის წმინდა ნინოს ეკლესიაზე წლის წირვა და პანაშვიდი გადაცვალებულის

კნეინა სოფიო (გოგოლია) იოსების ასულის წერეთლის

სულის მოსახსენებლად. 142—1—1

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 7 ივლისიდან ახალი პროგრამა.

ბედნიერება საუკუნე ღამეში.

ძლიერი დრამა 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა: ქ-ნ კარალლის დაბ-ნ პოლონსკის მონაწილეობით.

პარიზის მიდამოები,

სანახაობა.

**ანონსი**: ოთხშაბათიდან, 11 ივლისიდან 1916 წ.

და გავაქროლებ ჩემსა რაშებსა,

ძლიერი დრამა ოთხ ნაწილად ცნობილ რუსულ სიმღერის შინაარსზე, ცნობილ მსახიობთა, ბ-ნ ბაკშეევისა, ქ-ნ ორლოვისა და ქ-ნ პანოვის მონაწილეობით.

თმა ჭაღარა მოტრფიალე კომედია ფარსი 2 ნაწილად ცნობილ მსახიობის კამალ დე რიზოს მონაწ.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 7 ივლისიდან ახალი პროგრამა.

**გომონის ქრონიკა.**

გმირი ხმლითა და გმირი სულით.

დრამა 3 ნაწილად ცნობილ მცირე წლოვან მსახიობის ჟანეთ ჟარდეს მონაწილეობით. საფრანგეთის ცნობილ მწერლის ლეონ რობრეს ნაწარმოებით.

**ხუმრობა და სიყვარული**, კომიკური.

**ანონსი**: ოთხშაბათიდან, 11 ივლისიდან 1916 წ.

დორიან გრეის სურათი

ოსკარ უაილდის ცნობილ რომანის შინაარსით. ძლიერი დრამა 6 ნაწილად საიმპერატორო სცენის მსახიობის ვ. ე. მეიერხოლდის სცენარიით, რეჟისორობით და მონაწილეობით, მის მიერვე დადგმული. მონაწილეობენ: ქ-ნნი იანოვა, ერნიტან, ბელოვა, უვაროვა და ბ ნნი: ლევიტანი, ვოლკოვი და სხვანი.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი**. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** ი. **ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**ცხენების მომკრებ გამგეობას**

**ქუთაისის განყოფილება.**

10 ივლისს 12 საათზე, საარტილერიო ნაწილში საჯარო შევაჭრებით **გაიყიდება ცხრა კვიცი.**

241 2—1

**დ. ლაილაში.**

კბილის ექიმი

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭიშვილისა.

**ბორჯომში**

ექიმი სიმონ **ხეჩინოვი** 25 ივანობისთვიდან 25 მარიობისთვემდე მიიღებს ავათმყოფებს **ბორჯომში** (საყდრის ქუჩა № 98).

# მსოფლიო ომი

## დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი** 5 ივლისი. ჩვენმა პლასტუნებმა კვლავ მედგრად წაიწიეს წინ და დაატყვევეს 34 აფიცერი და 608 ჯარის კაცი, 2 ტყვიისმფრქვეველითურთ. ახლ დამატებით მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რო ბაიბურთთან ოსმალებისთვის დროშა წაურთმევია კავკასიის ერთერთ მსროლელთა პოლკის ორდინარეცს მბრუნნეკოვს.

**პარიზი.** 4 ივლისი. ბრესტის ახალი რუსის ჯარი, ჯერ სავარჯიშო ბანაკში გაიგზავნება მხოლოდ შემდეგ ბრძოლის ველზე.

**პარიზი.** 4 ივლისი. თანახმად პროფესორ მეჩნიკოვის უკანასკნელ სურვილისა, მის ლეშს კრემატორიუმში დასწვამენ.

**ლონდონი.** 5 ივლისი. ბრიტანიის მთავარ ბინის ცნობა საფრანგეთიდან. გუშინ 1 საათსა 15 წამს ინგლისელებმა ახალი წარმატება ნახეს. ბეზანტენლეპტის ჩრდილოეთით 1400 მეტრის სიგძეზე. მათ დაიპყრეს გერმანელთა პოზიციების მეორე წყება. დიდი რიცხვი მკვდრებისა ჰმოწმობს იმას, რომ გერმანელები ძალიან დაზარალდენ.

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 6 ივლისი. გუშინ დილა ადრიანად გაველში ოთხმა გერმანულმა ჰაეროპლანმა 13 ყუმბარა ჩამოაგდო. რიგის პოზიციებზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. მიადმიოლის ტბაზე ჩვენმა ლეიტენანტ ოლშინსკის ფლოტილია და ქვეითა ჯარი ღამით გერმანელებს თავს დაეცა და დიდი არევდარევა გამოიწვია. დვინსკის პოზიციებიდან პოლესიემდის მტრის მფრინავები თავის მოქმედებას ენერგიულად ანვითარებდენ. სტოხოდზე ზოგ ალაგას საარტილერიო ბრძოლაა. ვოლსეზირას ჩრდილოეთით მტერი წინ წამოსვლას სცდილობდა და ჩვენ მოვიგერიეთ ცეცხლით. სტოხოდზე მოსცურავენ ხიდის მთლიანი კამარები და ბორნები. კუტის სამხრეთ-დასავლეთით, მარცხენა ფრთაზე, მდ. ჩერნი—ბელ შერემოშკოს მიდამოებში ჩვენმა ქვეითა ჯარმა წინ წაიწია მთის გასავლებისაკენ.

კავკასიის ასპარეზი.

ტრაპიზონის სამხრეთ დასავლეთით და ბაიბურთის დასავლეთით ჯივისლიკთან კიდევ წინ წავიწიეთ რამდენადმე და მტრის ჯარი არიერგრადში უკუ ვაქციეთ. უკანასკნელ დღეებში ჩვენმა ჯარმა დაატყვევა 85 ოსმალო აფიცერი და 1200-ზე მეტი ასკერი, ხელთ იგდო ერთი მძიმე ზარბაზანი და ხუთი ტყვიის მფრქვეველი.

**პარიზი.** 5 ივლისი. შუადღის ოფიციალური ცნობა. გუშინ საღამოთი და ღამის განმავლობაში მდ. სომმის სამხრეთით გერმანელებს განუწყვეტელი იერიშები მოჰქონდათ, მაგრამ მიუხედავათ დიდი მსხვერპლისა, მათ ვერ შესძლეს მეზონეტის აღება. თუმცა რამდენიმე რაზმი ბიაშის აღმოსავლეთის ნაწილში შემოიჭრა და არხის გამოსწვრივ მოიწევს. მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელები მოულოდნელად თავს დაეცნენ 306-ის სიმაღლეს, მაგრამ ვერა გააწყვეს რა. ფლერის დასავლეთით, შაპელ-სენტ-ფინესთან ღამის განმავლობაში ხელის ყუმბარებით ბრძოლა მოხდა, გერმანელები ყველგან მოიგერიეს. სარტილერიო ბრძოლამ ცხოველი ხასიათი მიიღო ლოფეშენუასთან. დანარჩენ ასპარეზზე ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

**პარიზი.** 5 ივლისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მდ სომმის სამხრეთით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

——

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** რეველში გერმანელმა 13 ყუმბარა ჩამოაგდეს. რიგის პოზიციეებზე საარტილერიო ბრძოლაა დივინსკიდან მოლესიემდე გერმანელთა მფრინავები ენერგიულად მოქმედებენ მდ სტახოდზე საარტილერიო ბრძოლაა. დაბა კუცის დასავლეთით რუსებმა ცოტათი წინ წაიწიეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ტრაპიზონის სამხრეთ აღმოსავლეთით ჯივიძიკთან რუსებმა ოსმალთა არიეგრადი უკუ აქციეს და წინ წაიწიეს და დატყვევეს 85 აფიცერი 1200 ჯარის კაცი.

**დასავლეთის ასპარეზი** მდ. სომმის სამხრეთით მდგომარეობა უცვლელია. გერმანელებმა მედგარი იერიშები მიიტანეს მაგრამ ვერ აიღეს. გერმანელებმა ბიაშის აღმოსავლეთის ნაწილი ჩაიგდეს ხელში. ზოგი ალაგიდან ფრანგებმა მეორე დღესვე განდევნეს. ბელგიის ჯარის ბრძოლის პირზე ბელგიელთა რაზმი გერმანელთა თხრილებს თავს დაეცა და ნაწილი მცველებისა დაატყვევა

**იტალიის ასპარეზი.** წვრილი ბრძოლების გარდა, ჰურში რამდენიმე ალაგას ბრძოლა მოხდა.

დღემ შედარებით წყნარად ჩაიარა. გერმანელებს აღარ მიუტანიათ იერიშები მეზონეტზე, ბაიშის აღმოსავლეთის ნაწილში რამდენიმე სახლი გერმანელებისაგან განთავისუფლდა. დანარჩენ ასპარეზზე საყურადღებო არა მომხდარა რა.

**ჰავრი.** 5 ივლისი. ბელგიის ოფიციალური ცნობა. გუშინ ღამ ბელგიელთა რაზმები თავს დაესხნენ გერმანელთა სანგრებს და ერთი მადგანი ააფეთქეს. სანგრის მცველთაგანი ზოგი დაატყვევეს, მთელი დღის განმავლობაში არტილერია სუსტად მოქმედებდა.

მოკავშირეთა გამოანგარიშებით ბოლო ხანს ავსტრია-უნგრეთს 700,000 ჯარის-კაცა დაჰკლებია.

——

უნგრეთის პარლამენტში ოპოზიციის დეპუტატებს ძლიერ გაუკიცხავთ გალიციის ჯარის მთავარსარდლები.

——

ინგლისში უნიონისტები კვლავ წინ აღუდგნენ ირლანდის ავტონომიის შემოღებას.

## სამხედრო მიმოხილვა.

გენ. სახაროვის ჯარმა ამ რამდენიმე დღეში საგრძნობლად წაიწია წინ და რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი ჩაიგდო ხელში. სახაროვის ჯარი გენ. კალედინის არმიის სამხრეთით მოქმედებს და ეხლა რაკი სახაროვს წინ წაუწევია თავისი ჯარი კალედინის არმიას სამხრეთით უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს.

ამ ჟამად კოველ—ვოლინის მიმართულებით რუსებს მკვიდრათა აქვთ მოკიდებული ფეხი და ადვილათ შეეძლებათ მათ მომავალში წინსვლის განგრძობა.

გათვალისწინებული აქვთ რა გერმანელებს ეს საფრთხე, ენერგულად მოქმედებენ განაპირა ჩრდილოეთის ასპარეზით.

აქ გამალებით მოძრაობენ ჰაერში მათი მფრინავები, ზვერავენ რუსებს და ყუმბარებს ყრიან სხვა და სხვა პუნქტებში.

ეს დემონსტრაცია არ იქნება ხანგრძლივი. და ან სრული სიწყნარე ჩამოვარდება ან და რომელიმე ნაწილი მდგომარეობის და მიხედვით კვლავ ახმაურებდა მძლავრად ახლო მომავალში.

შვერელი.

## ქ. ქუთაისი, 8 ივლისი.

კარგა ხანია რაც ძველ თბილისს არ განუცდია აღშფოთების და მღელვარების დღეები. ყოველ გაჭირვებაში თუ სიხარულის დღეებში ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში იგი არ იცვლიდა თავის ეპიურ, მშვიდად სახეს და მოთმინებით შეჰყურებდა ხალხის გაჭირვებას და ცხოვრების აღშფოთებულ უსწორ-მასწორობას, მაგრამ ბევრი იყო გაჭირვება და დიდი უსამართლობა, ველარ გაუძლო მრავალ ჭირნახულმა თბილისმა ამდენ სიდუხჭირეს და განაცხადა თავის აღშფოთება. მხოლოდ ეს მოხდა სტიქიურად ანგარიშ-მიუცემლად, თითქოს მან დაჰკარგა ყოველივე იმედი და სასოწარკვეთილმა ჩაიდინა ის, რაც სხვა დროს მასში გულისწყრომას გამოიწვევდა. ასეთია თბილისი. ასეთია მისი ზოგადი სახე. დღეს მას შეუძლია მხოლოდ ასრულება სხვის ბრძანებისა და მოთმინება ვიდრე ამის ძალა და ღონე შესწევს.

თბილისი სდუმდა, როდესაც რუსეთის ეგრედ წოდებული „ჭეშმარიტი რუსთა“ ზედგავლენით და საკუთარის პოლიტიკანობით ახალ-ახალ მუხრუჭს უჭირებდა ყოველ საზოგადოებრივ მოქმედებას და ერთი მეორეზე ხურავდა საზოგადო ორგანიზაციებს.

თბილისს კარგად ესმოდა, რომ ინიციატივას მოკლებული საზოგადოება ჩირადაც არ ეღირებოდა, მაგრამ სდუმდა იგი, რადგანაც ასეთი იყო სხვისი სურვილი და თბილისს კი მარტო სხვის სურვილის ასრულება შეეძლო, მას თავის საკუთარი ნებისყოფა არა აქვს.

ასტყდა ომი, აუარებელი ჯარი, მასალა და ფული დასჭირდა მას, მთავრობამ მთელი თავისი ძალ-ღონე მიმართა ომის ღირსეულად წარმოებისაკენ.

მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა ომმა ხალხისაგან ჯარისა და ჩვეულებრივ ხარჯების გარდა მოითხოვა ახალი, არაჩვეულებრივი და მოულოდნელი დიდი ხარჯები, რასაც გოლიათური ომი ისე ინელებდა, როგორც წისქვილის ქვა ხორბალს. ხალხი გადაიქცა ერთგვარ დაუშრეტელ წყაროდ, რომელიც დაუზოგველად იღებდა თავის წვლილს ომისათვის. მეტმა ხარჯებმა მეტი შრომა და გაჭირვება გამოიწვია ხალხში, ნაკლები შემოსავალი და დიდი გასავალი, მხოლოდ ოჯახის მარჩენელი ბრძოლის ველზე. ამით ხასიათდებოდა ყოველი დაბალი და საშუალო შეძლების ოჯახი.

თითქო ეს საკმარისი არ იყოს და ხალხს ახალი უბედურება დაატყდა, უბედურება, რომლის წარმოების მიზეზებიც რუსეთის ცხოვრების საერთო მოუწესრიგებლობასა და გაუნათლებლობაში უნდა ვეძიოთ.

ამოძრავდენ ბნელი ძალები, გაჩაღდა მექრთამეობა, სპეკულიაცია. იმ დროს როდესაც სამხედრო მასალის და სახაზინო ქონების გადატანაც კი ვერა ხდება წესიერად, ამა თუ იმ სპეკულიანტს საქონელი გადაჰქონდა ქრთამისა და სხვა დაფარულ ხრიკების წყალობით, ამნაირად ძვირად დამჯდარ საქონელს ერთი ათად და ოცად მეტად ჰყიდდა. საერთო სიძვირემ წელში მოღუნა ისედაც გაჭირვებული ხალხი.

ამას დაერთო ზედ უფრო უბრალო სახე სპეკულიაციისა. საქონლის გადამალვა და შემდეგ ძვირად გაყიდვა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

ამ საზოგადო უბედურებას მთავრობამ არ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება, ვინაიდგან იგი მთლად ომით იყო დაბანდებული, ნახევრად ოფიციალური საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც მთავრობას ეხმარებოდენ ომის წარმოებაში. მხოლოდ წურბელები კი განაგრძობდენ ხალხის ჯანღონის ამოწრეტას.

როგორ შეხვდა ამას თბილისი? ისე როგორც რუსეთის მრავალი სხვა ქალაქი.

მოუმზადებელი.

მიუხედავათ იმისა, რომ აშკარა იყო გულის ამზრზენი ბოროტმოქმედება საზოგადო ორგანიზაციებისა, თბილისი ითმენდა. ითმენდა ვიდრე ძარღვები უკიდურესობამდის არ დაეჭიმა და მოთმინების ფიალა არ გაევსო, ვიდრე ათასმა გაჭირვებამ არ აიძულა ის გამოეთქვა „თავისი სიტყვა“ და გამოეხატა სამართლიანი გულის წყრომა!

არა! თბილისს არა სჩვევია „ქვენა გრძნობების“ აყოლა, მას შეუძლია მხოლოდ მოთმენა და გულისწყრომის გამოხატვა.

კატონ კობახიძე.

## ქართული პრესა.

როგორც სხვადასხვა ქალაქებიდან იტყობინებიან, აუტანელ სიძვირეს ყველგან დიდი უკმაყოფილება, არეულობა და რბევა-მტვრევა გამოუწვევია.

დიდი არეულობა და რბევა ყოფილა თბილისშიაც, რასაც მოწმობს დღევანდელ ჩვენ გაზეთში გადაბეჭდილი „განკარგულებანი თბილისის გუბერნატორისა“.

დღევანდელ ასეთ სიძვირის შესახებ გაზეთი „საქართველო“ სწერს:

სიძვირის უმთავრესი მიზეზი თვითონ წარმოების გაძვირებაა [illegible] წარმოებაა ის [illegible] გამოწვეულია მუშა ხელის შემცირებით და გაძვირებით, გადატან გადმოტანის გაძნელებით და სხ.

სიძვირის ერთ უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ვალიუტის საკითხი. საქონლის ღირებულება ფულით გამოიხატება და თუ ფული გაიაფდება, საქონლის ფასიც მატულობს. ფულის გაიაფება გამოწვეულია სახელმწიფოში უზომო ქაღალდის ფულის გამოშვებით. ქაღალდის ფულს თავისთავად არავითარი ღირებულება არა აქვს. ის თამასუქია ხაზინისა და ღირებულებაც აქვს იმდენად რამდენადაც ეს თამასუქი ხაზინის ქონებით, ოქროს თანხით არის უზრუნველყოფილი. და როდესაც თამასუქების რიცხვი მატულობს და მისი უზრუნველმყოფი თანხა უცვლელია ან კლებულობს, ცხადია ასეთი თამასუქების ფასი დაეცემა. რუსეთში ამ ჟამად კი ოთხჯერ მეტი ქაღალდის ფული ტრიალებს, ვინემ ეს ომის დაწყებამდის იყო. ფულის ფასის დაცემის გარდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცხოვრების გაძვირებაზედ საქონლის გადატან-გადმოტანის მეტისმეტი გაძნელება, ზოგიერთი საქონლის დასამზადებლად საჭირო მასალის სრული უქონლობა რუსეთში და აგრეთვე თვით ვაჭრების სპეკულიატური ფასების აწევა.

ეხლა ყველა მებრძოლ და არა მებრძოლ სახელმწიფოებშიაც კი ფეხს იდგამს სიძვირე. მაგრამ იქ მის წინააღმდეგ სულ სხვა ზომებს ღებულობენ. თუ რომელიმე საქონელი შემცირდება და ამის გამო ბაზარზედ მის გარ… შემო სპეკულიაცია იწყება, მთავრობა და საზოგადოება სცდილობენ ამ საქონლის წარმო… შობის პირობები გააადვილონ, ახალი წარმო… ბანი შექმნან, გადაზიდვის პირობები გააუმ… ჯობესონ და სხ. ასეთი საშუალებებით ისი… ნი ახერხებენ გაძვირებული საქონლის გა… იაფებას. წარმოებების გაფართოება, შემცი… რებულ ნივთიერებათა საერთო ძალით მოპოვ…ება და შეძენა, გადაზიდვის პირობების გაუმ… ჯობესება და ფულის ფასის დაცემის წინააღმ… დეგ ზომების მიღება—ერთი სიტყვით ორ… განიზაცია წარმოების, ადებ მიცემობისა—ა… ის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი იარაღ… რომლითაც ებრძვიან სიძვირეს ევროპიულ სა… ხელმწიფოებში—ინგლისში, გერმანეთში თ… საფრანგეთში ასეთი ბრძოლა იქ ნაყოფ… იძლევა.

ჩვენ კი ამას ვერ ვახერხებთ. ეკონომიურ… ცხოვრების არევ-დარევის წინააღმდეგ ვერავი… თარ ზომებს ვერ ვღებულობთ, ნიხრი … დარბევა კი მიზანს ვერ აღწევს და სიძვირ… დღითი დღე იზრდება.

---

## ნ უ თ უ?*)

(პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა).

(იხ. „სამშობლო“ № 399.)

II

იგი სასახელო კორესპონდენცია, რომელმაც გამოიწვია ეს ჩემი წერილი, იმით იწყება, რომ საგურამოს საზოგადოების მცხოვრებლებმა ექვსს მარტს თავი მოიყარა და გადასწყვიტა: „ბოიკოტი გამოეცხადოს აქაურ მემამულეებს ილია ჭავჭავაძეს, გივი სტაროსელსკის და ტატო ციციშვილისაო“ ამათთვისვე მიუბაძნია ჰოპორტის საზოგადოებასაც და აქ ვის გამოუცხადეს „ბოიკოტობა“ ჩვენი ავტორი, რა თქმა უნდა, ხმას არ იღებს.

რატომ? იქნება სხვა მემამულე აღარ არას საგურამოს და ჰოპორტის საზოგადოებათა წრეში, სადა, ავტორის სიტყვით, 16 სოფელია. არა, ბატონებო, ბევრი სხვანიც არიან და ერთი ამ ჩვენს კეთილის მყოფელს ავტორს ვკითხოთ: იმ ბევრს სხვას რაღა დაჰმართეს? იმათ-კი გლეხობამ სალამ-ქალამი გაუგზავნა, ძღვენი მიართვა და მარტო ჩვენ სამნი შეგვრისხა?

პირდაპირი ანგარიშია, რომ ავტორი ასე მოქცეულიყო: ბევრს სხვაზე თვალები დაიბრმავა და მარტო ჩვენ სამზე ყურიც აცქვიტა და თვალიც აახილა. ეგ იმიტომ, რომ ამ სამში ილია ჭავჭავაძეა, რომელიც თვალში ეკლად ასჩრია და რომლის ჯავრი გულს მოსწოლია და არ ასვენებს.

საგურამოს და ჰოპორტის საზოგადოებათა წრეში რომ ილია ჭავჭავაძე სულაც არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ ავტორს არავითარი ნაღველი არ ექნებოდა არც საგურამოს, არც ჰოპორტის გლეხთა საზოგადოებისა და არავითარი [illegible] …ისა არ ალაპარაკებდა.

განა მარტო ეს მაკმარა, რომ „ბოიკოტი“ გამოუცხადესო. დღევანდელ დღესვის არ შემთხვევია ეს ამბავი და ამით ჭავჭავაძეს ბევრი არა წაუხდებოდა რა. რომ უფრო გააძლიეროს ამ „ბოიკოტის“ მნიშვნელობა ჩემდა სამარცხვინოდ, ავტორი დიდის რიხით და პათოსით შემოგვძახის: „ასე გასინჯეთ, ი. ჭავჭავაძეს ჰყავდა (ვაი ჩემს შერცხვენას!) ერთი დედა-ბერი მექათმედ. იმის შვილის სახლს ცეცხლი წაუკიდეს,—რატომ დედა შენი არ ანებებს თავს მებატონესთან სამსახურსაო, და კაცი იძულებული იყო ძალით გამოეთრია გაჯიუტებული დედა ბერიო„.

მართალია, დედა-ბერიც, როგორც ყველა სხვა მოჯამაგირეები, სულმთლად დაითხოვეს, მაგრამ სხვა ყოველი ამ ამბავთან ჩართული, ტყუილი და ურცხვი ლაითაიებია თავზე ხელ აღებულ ადამიანისა.

ჯერ ერთი ის, რომ ეს ცეცხლის წაკიდება ცოცხილ ცოცხალი ტყუილია და, როგორც მაცნობეს, ამისთანა ამბავი სრულებითაც არ მომხდარა, სახლიც ღმთის მადლით არავისთვის არ გადაუწვავთ. მაშ რა ძალა დასდგომია ჩვენს ბედნიერს ავტორს, რომ ამინთანა აშკარა ტყილი, ამისთანა აშრობა უკადრნია და არ უთაკილნია! ამით ვითომ რა ჰსურვებია ეთქვა ჩვენს ბედნიერს ავტორს? ის რომ, რაკი ჭავჭავაძეს დედა-ბერიც არ დაუყენეს,—სჩანს რაოდენად გაუწბილებია ჭავჭავაძეს გლეხ-კაცობა, რამოდენად შეუძულებია თავისი თავი, რომ მისდა სავნებლად გლეხ-კაცებმა თავისი მოძმეც არ დაინდეს.

ავტორს ისიც კი ვერ გაუგია, რომ, თუ დედაბერი გაჯიუტებულა და ჭავჭავაწესთან ყოფნა ურჩევია, ვიდრე შვილთან წასვლა, ეს ამბავი ჭავჭავაძისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ავტორისთვის. აგრეთვე ის ამბავიც, რო გლეხკაცებს ვითომც ამ დედა ბერის შვილისათვის სახლი გადსუწვავთო, გლეხთა ავკაცობას უფრო მოასწავებს, ვიდრე საბუთს ,,ბოიკოტის'' ასე თუ ისე გაძლიერებისას ჩემდა სამარცხვინოდ. აბა ამას ჭკუა არ უნდა, რომ კაცი აშკარა ტყუილს იგონებდეს და ამ ტყუილით თვითონვე თავისის ხელით ყელს იჭრიდეს. კიდე ვიტყვი: არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი.

ღმერთის მადლით და გლეხთა სასარგებლოდ, ეს სახლის გადაწვა, ეს საშინელი და ყოვლად შეუნდობარი ავ-კაცობა ავტორისაგან მოგონილი ტყუილია და გლეხობას რას ემართლება, რომ ასე სახელს უტეხავს, ასეთ ბრალში ჰხვევს

ასეა თუ ისე, გლეხ-კაცობა დღეს ყველას შემოსწყრა და მართალი და მტყუანი, ავი და კარგი თან გაიტანა. ეს სტიქიონურ მოძრაობასა ჰგავს და ამიტომაც საერთოდ შემოწყრომა და ,,ბოიკოტობა'' იმის მაჩვენებელი არ არის,—ვინ ვის უყვარს, ვინ ვისა სძულს! ძულებას და სიყვარულს ამისთანა შემთხვევაში ადგილი არა აქვს ამიტომაც საზოგადოება, რომელსაც ჭკუა და გონება შერჩენია და ცნობიერება გაჰლვიძებია, მარტო იმას კი არ უნდა სჯერდებოდეს,—აი გლეხობა სხვასთან ერთად ამასაც შემოსწყრა, ამას ,,ბოიკოტობა'' გამოუცხადა, არამედ გულდამშვიდებული გარჩევა უნდა,—ვინ ვის რას ემართლება, ვინ ვის რას ერჩის, ვინ ვისზე სამართლიანად ხელს იწვდის. განა კაცთა ადამიანურ ცხოვრება, ისტორია, პროგრესსი და სხვა რაიმე სიკეთე შესაძლებელია, თუ ყოვლთ უწინარეს კაცთა ურთიერთობაში ისინი არ მოიკითხა, ამაების პასუხი არ იძია!

ამიტომაც მკითხველსა ვთხოვთ ნება მიბოძოს მოვახსენო იგი ვითარება საქმისა, იგი გარემოება, რომელიც ასე თუ ისე ამ მხრივ შუქსა ჰფენს კორესპონდენტის მიერ ხსენებულს ,,ბოიკოტს'' ჩემდა მომართ.

მე და ჩემი მეუღლე მემამულენი ვართ. არც მე და არც ჩემს მეუღლეს არც ერთი ნაყმევი, არც ერთი ხიზანი არა გვყავს არამც თუ საგურამოს, არამედ მთელს დედა-მიწის ზურგზე. მართალია, მე საკუთრივ ცოტა თუ ბევრი ყმები მყავდა კახეთში, მაგრამ ყმათა განთავისუფლების პირველ ხანებშივე მთელი მათ მიერ ხმარებული სახლ-კარის მიდამო, მათი მხვედრი ვენახები უსასყიდლოდ დავუთმე და ხელ შეუხებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოველივე ბატონ ყმური ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმევთა შორის. ხიზნებიცა მყავდა თიანეთის მაზრაში. ხაზინა შემომეშველა მათ მიერ ხმარებულ მამულს და მე მარტო მაშინ მივყიდე, როცა ჩემი ხიზნები სხვა, მათ მიერ არჩეულ და მოწონებულ სახელმწიფო მამულში გადავიყვანე და დავაბინავე, თ. ლევან ჯანდიერის შემწეობით, რომელიც მაშინ მაზრის უფროსად იყო. ჩემმა მეუღლემაც გაყოფის დროს ისე გამოიწილადა მონაწილეთაგან მამული, რომ არც ერთი ხიზანი, არც ერთი ნაყმევი არ ირგუნა.

(კურსივი ჩვენია. რედ.)

ამ სახით ჩვენ ორს რაც მამულები გვაქვს, სულ თავისუფალი და დამოუკიდებელია სხვისაგან. მაშასადამე, მამულის გამო ჩვენ ვერაკაცი ვერც ნაყმეობით, ვერც ხიზნობით ვერას წაგვედავება, ვერას დაგვემდურება, თუ სადმე განკითხვა და სამართალია.

მართლადაც, რა სიმართლე, რა საბუთი აქვს გლეხ კაცს, რომელიც არც ხიზანია თქვენი, არც ნაყმევი, რომ თქვენს მამულზე ხელი გაიწოდოს მაშინ, როდესაც კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამც თუ მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებურ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრ… ბას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთე… დედა-მიწის ზურგზე.

და თუ გლეხ-კაცობა დღეს თავის… მაინც და მაინც არ იშლის და კერძ… საკუთრებას ხელს ატანს, ეს ცოტად თ… ბევრად შესაწყნარებელია იმით კი არ… რომ სამართალი რამ მიუძღოდეთ, არ… მედ იმით, რომ დღევანდელი მოძრაო… სოფლისა ცეცხლივით მოედო მთელს ს… ქართველოს და ყველა ნებით თუ უნე… ლიეთ თან წაიყოლია.

აქედამ ის არ გამოდის, რომ კაც… დიდის მწუხარებით არ შეხედოს იმი… თანა ამბავს, როცა კაცს სხვა საბუთი ა… მიუძღვის იმის გარდა, რომ მე ცოტ… მაქვს და შენ ბევრი და იმიტომ შენ უ… და წაგერთვას და მე მომერთვასო. ა… უკიდურეს სილატაკიდან უდიდეს სი… დიდრემდე რამდენი საფეხურია, რამდე… კიბეა, რამდენი ერთმანეთზე მეტია … მოდით და გაარჩიეთ, რომელმა რომელ… უნდა სწეწოს და ჰგლიჯოს მთელ … დიდს მანძილზე.

კერძო საკუთრებას სამართლიანად თუ უს… მართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ … საუბედუროდ ჯერ კიდევ დიდხანს იქნე… ბა დიდს პატივში და მის სარბიელ… ძალ-მომრეობა, ერთმანეთზე მისევა ვი… მინდ იყოს იაფად არ დაუჯდება

იქნება მე ვცდებოდე, მაგრამ ამაზე … იმედია ყველა დამეთანხმება რომ ეს დღ… ვანდელი ამბავი დიდ მიზეზიანი საგანი… დიდად გასაფხიზლებელი, დიდ ფათერა… ანი. აქ საქმე იმაში კი არ არის ვინ უ… რო შორს გადახტება ამ დღევანდელს … ბავს დიდის გულდადებით და ღრმად … და ჩაუკვირდეს ადამიანი, მთელი სიგ… სიგანე გაუზომოს, თავით ბოლომდე თ… ლწინ დაიყენოს.

ეს დიდ პასუხის გების საგანია და …

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

დ. ზესტაფონი. კვირას 10 ივლისს დ. ზესტაფონში გაიმართება თეოფილე ხუსკივაძის მოღვაწეობის 35 წლის იუბილე.

✦ 6 ივლისს, საღამოს რვა საათზე, ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში მოხდა მორიგი კრება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობისა თავ. მ. გ. ფალავას თავმჯდომარეობით.

კრებამ მოისმინა მოხსენება ბ-ნის გიგინეიშვილისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქართ. საქველ-მოქმედო საზოგადოების მიერ აჭარაში იჯარით აღებულ მამულების დათვალიერება.

კრებამ სასურველად სცნო მიენდოს ამავე ბ-ნ გიგინეიშვილს მამულების მოვლა პატრონობის ორგანიზაციის მოწყობა, შეადგინოს ხარჯთ აღრიცხვა იმის შესახებ, თუ რამდენი ფული დასჭირდება ამ ორგანიზაციას, ასწეროს თითოეულ სოფელ-მამულის შემოსავალ-გასავალი და მოკლე დროში უფრო ვრცელი მოხსენება წარმოუდგინოს გამგეობას.

ამავე კრებაზე განხილულ იქმნა განცხადება ბ ნ რაჟდენ დათეშიძისა ბ-ნი რაჟდენ დათეშიძე სთხოვს გამგეობას ჩაიბაროს ის მამულები, რომელიც მას იჯარით ჰქონდა აჭარაში აღებული.

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ეს მამულები ბ ნმა დათეშიძემ პირველად გადასცა ვიღაც სომეხს, მაგრამ გაზეთების გამხილების შემდეგ, იმ სომეხს შეეშალა და ახლა საქველმოქმედო საზოგადოებას უნდა გადმოსცეს.

კრებამ დაადგინა: გადაშინჯოს ბ-ნ რაჟდენ დათეშიძესა და იმ სომეხს შორის დადებული ხელშეკრულობა და ეთხოვოს ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს, რომ ეს მამულები საქველმოქმედო საზოგადოებას ჩაბარდეს.

✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მუდმივ მდივნად დაინიშნა ნაფიცი ვექილის თანაშემწე იაკობ თომას ძე ცინცაძე.

✦ გუშინ აჭარაში გაემგზავრა ქართულ საქველმოქმედო საზოგ. ქუთაის. განყოფილების რწმუნებული ბ-ნი გიგინეიშვილი ამ საზოგადოებისაგან იჯარით აღებულ მამულების მოვლა-პატრონობის ორგანიზაციის მოსაწყობად,

✦ კავკასიის ფრონტზე გმირულათ მოკლეს პოდ-პოლკოვნიკი გ. როინიშვილი.

✦ 17 ივნისს ღამით ჩოტევის მცხოვრებნი ჯატო გოცირიძე, დ ყრუაშვილი და სარდიონ მენაბდე დაუხვდენ ჩხარის საბოქაულოს მცხორებს ნ. ცერცვაძეს და მოუნდომეს გაძარცვა ნ. ცერცვაძე გაუძალიანდათ რისთვისაც იგი დასჭრეს

✦ საღორიის ქუჩის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცთიან გზის უვარგისობით. გზა ისეა გაფუჭებული. რომ წვიმის დროს ტალახის მორევად იქცევა ხოლმე.

✦ გუშინ ვიღაც პრაპორშჩიკს დაუძახია მეეტლესათვის, რომელიც ბორბალზედ რიზინას აკეთებდა. მეეტლე არ წაყოლია, რისთვისაც იგი რიგიანათ გაულახავს ბ. პრაპორშჩიკს. და მოკვლით დამუქრებია.

✦ ქერძაფით დაშავება: სამშაბათს ღამით ქორწილში მოხთა ერთი უბედურება. სახლში წამოსვლის დროს დ. ქებაძეს დახვედრია, როგორც ამბობენ, ქალი ტასო კაპანაძისა და სახეზე ქერძაფი შეუსხამს.

✦ კვირას 10 ივლისს გორაზე ქუთაისის სცენის მოყვარეთა მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა ღარიბი ქალის სასარგებლოთ.

✦ ბ-მა ქუთაისის გუბერნატორმა აცნობა საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის თავჯდომარეს, რომ საზოგადოების შუამდგომლობა სოფელ გეგუთში მდებარე ციხე-დარბაზის დაცივასა, იქ სამხედრო ბანაკებში მოვარჯიშე ჯარისკაცებისაგან, დაკმაყოფილებულია და შესაფერი განკარგულება მოხდენილია.

✦ ორშაბათს გელათის მონასტერში წირვაზე ყ დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ მათხოჯის დედათა მონასტრის უფროსი მონაზონი ანასტასია (ცომაიას ასული) იღუმენიათ აკურთხა, წირვის შემდეგ მღვდელმთავარმა კვერთხი ჩააბარა იღუმენიას და მოკლე სიტყვით მიმართა, რომელშიაც ხაზგასმით აღნიშნა მისი პირნათლათ სამსახური და მოღვაწეობა ჯერ თეკლათის, შემდეგ კი მათხოჯის დედათა მონასტრებში და ნაყოფიერი სიცოცხლის გაგრძელება უსურვა.

✦ სამშაბათს, საღამოს 7 საათზე, შესდგა კრება წვრილი კრედიტის ამხანაგობისა ბ. ა. ჯაფარიძის თავჯდომარეობით. ბატონი კანდელაკი შეეხო წვრილ კრედიტისა და კოოპერატივების უმწეო მდგომარეობას კავკასიაში, ერობის უქონლობის გამო, და შეადარა კავკასიისა და რუსეთის კოოპერატივების მოქმედება, რომელსაც ერობაცა და სახალხო ბანკიც ეხმარება და ამიტომ სამოქმედო ასპარეზიც ფართო აქვთ. ჩვენ რადგან ერობა არა გვაქვს, საჭიროა სახალხო ბანკი დავაარსოთ, რომელიც დახმარებას გაუწევს კოოპერაციებსა და წვრილ კრედიტს და ამ უმწეო მდგომარეობიდან გამოიყვანსო. კრება აფრთოვანებით შეხვდა სახალხო ბანკის დაარსების პროექტს და აღიარა, თქვეს, რომ მას შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს წვრილ კრედიტს და კოოპერატივებს სოფლის სამეურნეო ნაწარმოების გასაღებაში რუსეთის ბაზარზე. შემდეგ ბ. ქუთათელაძემ გააცნო კრებას მოსკოველი სტუდენტების სექციის წინადადება გამართონ სხვა და სხვა რაიონებში ლექციეები, კოოპერატივზე და წვრილ კრედიტზე. დასასრულ ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორი წვრილ კრედიტის კავშირი იქნება ხელსაყრელი, საგუბერნიო თუ სამაზრო, რამაც დიდი კამათი გამოიწვია. საკითხი გაურკვეველი დარჩა.

✦ გუბერნატორმა ნება დართო გახსნან დ ხონში სასოფლო სამეურნეო საზოგადოება

---

# † ილია მეჩნიკოვი.

გარდაიცვალა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის უდიდესი ჰუმანისტი, კაცთმოყვარე მეცნიერი.

ილია მეჩნიკოვის დახასიათება შეიძლება ერთი სიტყვით: „შვენიერება".

ის შვენიერი იყო სახით, სულით და მეტყველებით.

ის ერთსა და იმავე დროს უდიდესი თეორეტიკოსი, წინასწარმხედვარე, და ადამიანის ბედნიერების მიზეზთა მეძიებელი იყო.

პირველად მუშაობდა, როგორც ზოოლოგი და ამ ნიადაგზე მისი ღვაწლი იმდენად დიდი იყო, რომ რამდენსამე მეცნიერთან ერთად ემბრიოლოგიის დამფუძნებლად ჩაითვლება.

თუ მისმა თანამშრომელმა ა. კოვალევსკიმ „ამფიოქსუს ლანცეოლატის" (ერთგვარი თევზია) შესწავლით ხირხიმლიანსა და უხირხიმლო ცხოველებს შორის შემაერთებელი ხიდი გასდვა, ი. მეჩნიკოვმა განაყოფიერებული კვერცხის განვითარების პირველი საფეხურის შესწავლით ყველა მრავალუჯრედიანი ცხოველი ნათესაური კავშირით შეუერთა ერთმანეთს.

ამ გვარად ამ ორმა მეცნიერმა დარვინის თეორია მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დაამყარეს,

მეჩნიკოვის ყოველმხრივი მეცნიერული ღვაწლის დაფასება მე, როგორც არა სპეციალისტს, არ ძალმიძს.

აღვნიშნავ მხოლოდ ზოგიერთს მის აღმოჩენას. მან აღმოაჩინა ის დიდი ფაქტი, რომ ადამიანის (აგრეთვე ყოველი ცხოველის) სისხლის თეთრი ბურთები მის სხეულში შესეულ მავნებელ ბაქტერიებს (უხილავს, მიკროსკოპიულს, მდაბალ არსებათ) ებრძვიან და, მაშასადამე, მის სხეულს ყოველგვარი სენისაგან იფარავენ (ფაგოციტოზი) და მრავალმა მეცნიერულმა ძიებამ დაადასტურა, რომ, თუ ხსენებული თეთრი ბურთები. (ფაგოციტები) ერთადერთს განმაკურნებელ მცველებს არ წარმოადგენენ, უმათოდ ბრძოლა ბაქტიერებთან შეუძლებელია.

მეჩნიკოვსავე ეკუთნის აგრეთვე მეორე დიდი აღმოჩენა. მან დაამტკიცა, რომ სხეულის თვითოეული უჯრედი ან კვერცხუკა, იფარავს და იცავს თავს ერთგვარი თხეულობით, რომელიც მეზობელს უცხო უჯრედებს ნებას არ აძლევს, რომ ის გადათელონ და აღხოცონ. ამ თხეულობას ციტოტოქსინი ეწოდება.

აქედან წარმოიშვა მისი თეორია სიბერის შესახებ. ის ამბობს: სხეული შესდგება კეთილშობილი უჯრედებისაგან (მაგალითად, ნერვიული სისტემის, მყესთა (მუსკულთა), თირკმელთა, კუჭისა და წელების ჭირკვლების სპეციფიური, ტომოვნებითი უჯრედები) და არა კეთილშობილი უჯრედებისაგან (ეგრეთწოდებული შემაერთებელი ქსოვილის უჯრედები) და სიბერე მეორეგვარი უჯრედების მიერ კეთილშობილი უჯრედების დაჩაგვრას მოასწავებსო.

აქედან კი იბადება შემდეგი სამეცნიერო საძიებელი: აღმოვაჩინოთ ისეთი საშუალება, რომ მით არაკეთილშობილი უჯრედები იმდენად დავაუძლუროთ, რომ კეთილშობილი უჯრედები ველარ დაჩაგრონ. ეს იქნება საშუალება სიბერის წინაალმდეგ.

მასვე ეკუთნის შემდეგი თეორია. როგორც ვიცით, ადამიანის მსხვილ წელებში აუარებელი ბაქტერია არის, რომელიც წელების შეცულობას ხრწნის (საპროფიტები ან მძოვრისმჭამელი ბაქტერიები) ხსენებული ბაქტერიების ფიზიოლოგიური დანიშნულების უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ბუნებაში ყველაფერი წესიერად არა წარმოობს და წელების შეცულობის გადამეტებული ხრწნისა და ლპობისაგან წარმომდგარი ნივთიერებანი წელების ლიმფის ჭურჭლების მიერ შეისმებიან და სხეულს სწამლავენ. ეს არის სხვათა შორის სისხლის მილების დასხნეულებისა (სკლეროზის) და, მაშასადამე, სიბერის დაჩქარების მიზეზი. და მეჩნიკოვი გვირჩევს ვებრძოლოთ სხეულის ქრონიკულ მოწამლვას შემდეგი საშუალებით. ვსჭამოთ მაწონი, რომელიც შეიცავს ეგრეთწოდებულს დამამჟავებელ ბაქტერიებს (აციდოფილებს), რომელნიც ხელს უშლიან საპროფიტების გადაჭარბებულ გამრავლებას ამ გზით შევვიძლია ხანგრძლივად [illegible] ნი სიცოცხლეო.

მეჩნიკოვსავე ეკუთნის იმ ფაქტის აღმოჩენა, რომ ბრმა წელის ჭიისებური საკიდის ანთება ხშირად ჭიის (ასკარიდების) თესლისაგან წარმოსდგება.

აღვნიშნოთ კიდევ ერთი დიდი აღმოჩენა. მან აუცრა და შექმნა მაიმუნს კაცის სიფილისი და, მაშასადამე, საფუძველი ჩაუყარა ამ სენის მომავალს სეროტერაპიას (მაიმუნის სისხლის შრატით კურნებას).

მაგრამ მეჩნიკოვი ვიწრო მეცნიერი არ იყო და მისი ფართო გონება მარტო ერთი მეცნიერების სარბიელით არ გარეშეიწერებოდა, არამედ სოციალურ მოვლენათაც გარეშეიცავდა და აშუქებდა: მრავალი მისი ღირსშესანიშნავი სოციოლოგური წერილია სხვადასხვა ჟურნალში გაბნეული.

დასასრულ შევეხოთ ორიოდე სიტყვით მისი ფილოსოფიის მთავარ დებულებას. მის ფილოსოფიასა და ეთიკას— მეცნიერული ოპტიმიზმი უდევს სარჩულად. მისი აზრით, ყოველი კაცი უნდა ეძიებდეს თავისა და თავის მოძმის ბედნიერებას, ბედნიერებად კი აღიარებდა ის შრომას, მოქმედებასა, ტანმთელობას. უნდა ვეცადოთ, რომ ვიცოცხლოთ მთელად და დიდხანსა და უნდა ვიშრომოთ ჩვენი საკუთარი სარგებლობისა და მოძმეთა ბედნიერებისათვის. მაშინ მოხუცება არა თუ ჭირად არ მოგვევლინება, არამედ სასიამოვნო იქნება, რადგან ამ ხანში კაცს მეტი აქვს ცოდნა და გამოცდილება. მოხუცი არ უნდა იყოს უძლური, არამედ გამოცდილებასთან ერთად მხნეობა, შრომის მოყვარეობა და გონებრივი ენერგიაც შენახული უნდა ჰქონდეს. მისი მნიშვნელობა გაასკეცდება. და. როდესაც სიკვდილის ჟამი მოახლოვდება, ისე შეეგებება ამ წამს, როგორც ბუნებრივსა და ჩვეულებრივ მოვლენას, კმაყოფილი, რომ მის სიცოცხლეში თავისი დანიშნულება პირნათლად აასრულა.

უკანასკნელ ჟამს, როდესაც ევროპამ ცეცხლითა და მახვილით თავის თავის განადგურებას ხელი მიჰყო, მეჩნიკოვი გულის ტკივილით შეჰყურებდა ამ ამბებს და ეს დარდი სამარეში თან ჩაიტანა.

ასეთი იყო ილია მეჩნიკოვი, დიდი მოაზრე და უკეთილშობილესი ადამიანი.

ექიმი ვასილ წერეთელი.

---

პასუხის გების შიშ ქვეშ თვით გლეხკაცობის წინაშე, დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა საითკენაც ჯერარს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხე-სიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდან გავტეხოთ. ამას მოთხოულობს არამც თუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა საერთოდ არამედ გლეხკაცობისაც საკუთრივ.

## III

ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ ასე გავაჭიანურე ჩემი პასუხი და აქამომდე, სწორედ რომ ვთქვა, არსებითად საპასუხო თითქმის არა ვთქვი-რა. რა ვქნა? დღევანდელი დღე ისეთი ცეცხლ-მოსაკიდებელა რამ არის, რომ ძნელია კაცმა თავი დაიჭიროს და მისს ამბებს გვერდი აუაროს, რაკი სიტყვა მოიტანს. ეგ ხომ ეგრეაო, მიბრძანებთ, მაგრამ ჩვენ პასუხი მაინც გვინდა და გვინდაო. გნებავთ და აი მცე მზადა ვარ.

შეუდგები რა ამ ფრიად უსიამოვნო ამბავს, ყოვლთ უწინარეს გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ მას, რომ ჩემი კეთილის მყოფელი ავტორი ოთხს ბრალსა მდებს, რომელთა შორის ერთი თითქმის კაცის კვლაა.

ერთი დანაშაული ჩემი თურმე ისა ყოფილა, რომ ერთს „ახალ სოფლელს" გლეხს უამბნია, ვითომც ჩემს კალოზე „სანადელო" ყანის ძნა მოუტანია მაშინ კი არა, როცა ჩემს მოურავს დაუვალებია, არამედ მეორე დილას ადრიანად და მე „უშვერის სიტყვით ლანძღვა დამიწყვია და, რა თქმა უნდა, ჰყივილ-ყვირილით მითქვამს: „ეხლავე ეგ ძნა იქვე ჩაიტანე, საიდაც დაუდე და, როცა მოურავს დრო ექნება, ჩამოვა, ახლად გადმოითვლის და გაჰყოფს". გლეხკაცსაც ძნა ისევ „სანადელო" მიწაში ჩაუტანია.

მართალია, მე და ჩემს მეუღლეს საგურამოს მამულებში წილი გვიდევს, მაგრამ „ახალ სოფელში კი არც ერთი მტკაველი მიწა არ გაგვაჩნია იგი სოფელი მთლად ეკუთვნის თ დ ზაალ გურამიშვილს, რომლის მამულ დედულს აჭყა განაგებს, რადგანაც პატრონი სნეულია, და იქ ერთი ნაყმევიც არამც თუ ჩვენ, თვით მამულის პატრონსაც არა ჰყავს. მაშასადამე, „ნადელი", რომელიც ჩვეულებრივ ნიშნავს მარტო უსტავნოი გრამოტით საკომლოდ მიზომილ მიწას ნაყმევისას, ულაგოთ ხსენებულია და კორესპონდენტისაგან განზრახ მოგონილი რისთვის? ალბად იმისთვის, რომ უფრო მოჭირებულ ფერით შეღებოს თავისი ღვარძლიანი გულთ ნადები ჩემდა მომართ. აქ ავტორის ანგარიში აშკარაა და აი რატომ.

ნაყმევი ნამსახური კაცია, ახლად მართლადაც სამარცხვინო უღლიდამ გამოშვებული. ამიტომმაც უფრო გულშესატკივარია, უფრო შესაბრალისი, როცა თავის ნაბატონარისაგან იჩაგრება და თვით ნაბატონარიც უფრო ულმრთო და უადამიანო გამოდის თავის ნაყმევის წინაშე, ვიდრე წინაშე სხვა გარეშე კაცისა.

ალბად ეს ანგარიში ჰქონია ჩვენს ავტორს, თორემ რა მოსაგონია, რა ჰკუაში მოსასვლელია ამისთანა ტყუილი, რა სახსენებელია „სანადელო ყანა" იქ, საცა ნაყმევი და, მაშასადამე „ნადელიც" არ არის. მართალია, ამისთანა ტყუილს დაჭერაში ბევრი არა ყრია-რა, მაგრამ კაცმა კაცს რომ ხასიათი და ხარისხი ზნეობისა შეუტყოს, ამისთანა საქციელიც სათვალავში ჩასაგდებია სხვასთან ერთად და ეს სხვა არა ერთგან კიდევ შეგვხვდება, ოღონდ მოთმინება ვიქონიოთ და ტყუილს ტყულის კარამდე ვდიოთ.

უნდა გამოვტყდე, ჩვენის კორესპონდენტის სასიხარულოდ, რომ იმ ოთხს ბრალთაგან, რომელსაც იგი მე მწამებს, მარტო ამ ამბავს აცხია მართლის ნიშან წყალი, მაგრამ ეს ერთი ნამცეცა მართალიც კი ისე ამოუვლია თავის გულის ზაფრაში, რომ თავისი ნიშან-წყალი დაუკარგავს, ტყუილს დიდ მანძილზე არ ჩამორჩება და მოგვაგონებს ხავსს, რომელსაც წყალ-წაღებული ეჭიდება ხოლმე, როცა მეტი გზა არა აქვს. საქმე აი რაშია.

იმ ხუთ სოფელში, რომელნიც საგურამოს შეადგენენ, სულ სახელმწიფო გლეხნი დგანან და იქა ჰხვნენ და სთესენ, საცა მამულის პატრონს მოურიგდებიან. ამ სოფლებში დიდის ხნიდამ დადებულია, რომ ვინც ვის მამულს მოხნავს მამულის პატრონს მეოთხედი უნდა აძლიოს და თავისის ურმით მემამულეს კალოზე მიუტანოს.

ამ მეოთხედის დათვლა-მიტანა, არეულების ადგილობრივი შეფარდება და სხ. ამისთანა მრავალ მიზეზიანი საქმეა და ხშირად ამ სარბიელზე ჩხუბი და დავიდარაბა მოსდით მოურავს და გლეხს ერთმანეთში ნუ დავივიწყებთ იმ გარემოებას, რომ ერთსა და იმავე მიწაში, ნამეტნავად თუ ცოტაოდნად მოზდილია შესაძლოა, თავიდამ ბოლომდე ერთნაირი ძნა არ იყოს, ხშირად თავში კარგი, პურიანი ძნაა და სხვილი, შუა წელში, ან ბოლოში აოდვილია, მომცდარია, პურნაკლებია და ამის გამო ათეულები ხშირად ერთისა და იმავე ფარდისანი არ არიან ერთისა და იმავე მიწაში.

საკმაოა მარტო ეს გარემოება დავიყენოთ თვალწინ და მასთან ერთად ისიც, რომ ძნებს ცალ-ცალკე დადგმულ ათეულებით იყოფენ ერთმანეთთან შეფარდებით, საკმაოა მეთქი ეს წარმოიდგინოთ, რომ მიხვდეთ—რამდენი ხიფათი მოსდევს ამ მეოთხედობას, თუ მოურავი ან გლეხ კაცი ერთმანეთს გადაეკიდებიან და ერთმანეთის ჯავრის ამოყრას მოიწადინებენ

კიდევ ვიტყვი, რომ როგორც მოურავი, ისეც გლეხ-კაცი ყველა უმანკო მტრედი არ არის. ამიტომაც თუ საქმე მიზეზიანია ეშმაკობა და მოტყუება ორსავ მხრივ ადვილად მოსალოდნელია. ერთის მხრივ ამისთანა ამბების ასაცილებლად, რაოდენადაც შესაძლოა, მეორეს მხრით იმისათვის, რომ კაცმა იცოდეს, მოურავი ვის ყანიდან რას ჰგზავნის, ვის რამდენს ართმევს, ერთის სიტყვით, იმისათვის, რომ კაცმა იცოდეს, ვისგან რა შემოსდის, და მოურავსაც საბუთიანი ანგარიში ჩამოართვას, მე დავაწესე, რომ მოურავმა თვითეულ გლეხს იქავ, საცა მეოთხედს მიითვლის, ბარათი აძლიოს, ვისგან რა ერგო და თვითონაც დავთარში ჩაიწეროს, იქავე თავის თვალწინ ურემზე დაადებინოს, რომ ძნები არ შესცვალონ და ისე გამოისტუმროს. გლეხკაცი რომ კალოზე მეოთხედს მოიტანს, ძნის მიმღებს ხსენებული ბარათი უნდა ჩააბაროს და ამ ბარათით მიუთვალოს. მერე ეს ბარათები და მოურავის დავთარი ერთმანეთთან შემოწმებით უსწორებენ სიას მამულის პატრონს, რომელსაც ამით ღონისძიება ეძლევა თავისის შემოსავლის ანგარიში იქონიოს და მისი ავი და კარგი იცოდეს.

ეს წესი, დიდი ხანია, გამოცხადებული აქვს ყველა იმ გლეხს, რომელსაც ჩემთან ხვნა-თესვის საქმე დაუჭერია. დიდმა ნაწილმა გლეხ-კაცობამ ეს ნება-ყოფლობით წესი მომიწონა,—მტყუანი და მართალი ამით გაირჩევაო, და მიიღო კიდეც.

ხოლო ამ წესის დადგენა განა შესაძლოა ჩვენში ისე მომხდარიყო იმ ცოტად თუ ბევრად მრავალ რიცხოვან გლეხთა შროის, რომელნიც სახნავ სათესად ჩვენს მამულს ეტანებიან, რომ შიგა და შიგ თითო-ოროლა კაცი არ გამორეულიყო და წესი არ დაერღვია, თუ ბოროტის განძრახვით არა მოუთმენლობით მაინც, რომ არ დაუგვიანდეს და საქმე წინ წაიგდოს. ბევრი ვეცადე ეს უბრალო და უმანკო წესი არავისთვის დამერღვევინებინა, მაგრამ ვერას გავხდი: წელიწადი ისე არ გაივლიდა, რომ შიგადაშიგ ხან ერთს გლეხს არ შეეშალა, ხან მეორეს. აქ ყურის მოყრუება წესის სრულიად დაფუშვას მოასწავებდა. ბოლოს, სხვა გზა რომ არ იყო, დავემუქრე, --ვინც ჩემს მამულში სახნავ-სათესად შემოხვალთ და მეოთხედს უბრალოდ მომიტანთ, დადებულ ურემს უკან გავაბრუნებ-მეთქი.

ხსენებულ წესის დადგენის აქედ სულ ორი შემთხვევა იყო, როცა იძულებულ ვიყავ ჩემი მექმნა და ეს მუქარა ცალიერ სიტყვათ არ დარჩენილიყო. ერთი ამ ხუთისა თუ ექვსის წლის წინად მოხდა, რომ უბარათოდ მოტანილი მეოთხედი უკანვე დავუბრუნე, არ მახსოვს, წიწამურელს, თუ გურამიანთ კარელს გლეხ კაცს, და მას აქეთ მთელმა ხუთმა, თუ ექვსმა წელიწადმა ისე ჩაიარა, რომ არავის დაურღვევია. ხოლო შარშან წინ, ერთს გლეხს უბარათოდ მოეტანა ძნა.

აშკარაა, ან ხელახლად ჩემი მუქარა უნდა ამესრულებინა, რომ წესი წესად დარჩენილიყო ან წესზე ხელი ამეღო, რადგანაც მაგალითი იმისთანა შემთხვევაში მოარულ ჭირზე უფრო ადვილად გადამდებია. რა თქმა უნდა, პირველი ღონისძიება ვირჩიე: გლეხს მუქარა ავუსრულე, უკანვე დავუბრუნე,—მინამ ბარათს არ მომიტან ძნას არ მივიღებ-მეთქი.

შესაძლოა ამ წესის დამყარება იმად არა ღირდეს, რომ კაცმა კაცს ძნით დადებული ურემი უკან დაუბრუნოს, შესაძლოა ეს ამისთანა წესი ყოვლად გამოუსადეგარი, ყოვლად უაზროც იყოს, იქნება წესის ერთობ ჩამოგდება ქართველისათვის საჭიროც არ იყოს, რადგანაც ჩვენში ყველას, თავადია თუ გლეხი, ბერია თუ ერი, თვლა და ანგარიში ჭირივით ეჯავრება

## ჩემი პასუხი „არა ებრაელს“.*)

ერთმა ასიმილ-იატორმა გერმანელმა ებრაელმა მითხრა: როდესაც გავიგონებ ებრაელის სახელს ან და მათ საკითხს, უმეტესად იმათსას, რომელნიც სცხოვრობენ პალესტინაში - გერმანიაში მშვიდობით ვერ დავიძინებო... საბრალო, მან რომ დამშვიდებით დაიძინოს საჭირო ყოფილა რომ მან მთლათ ამოიფხვრას ებრაელების სახელი ქვეყნიერებიდანაო!—სთქვა ირონიით ერთმა იქ მყოფმა ებრაელმა...

სწორეთ ვერ ვიფიქრებდი, თუ ამ დროს მევესწრებოდი ჩვენშიაც. ასი წლის წინეთ მენდელსონის მიერ შექმნილი მავნებელი აზრები. გერმანელ მოსეს მოძღვრების შესახებ, რომელმაც უსაზღვრო ზიანი მიაყენა ჩვენ ერს და როცა კი გაძლა მისი სულიერი სისხლით, ახლა, უკანასკნელ დროში, სამუდამო გაკოტრებას შეუდგა. ჩვენში კი ახლა ამ საზარალო და მომტყუებელ აზრს მოუპოვია ბინა. ბ. ი. ხ—შვილი საშინელი აღშფოთებით ილაშქრებს გაზ. „სამშობლო“-ში №№ 392, და 393-ში ჩემი წერილების წინააღმდეგ.

ყველაზე უწინარეს იგი გადაჭრით ამტკიცებს ებრაელნი არავინ გვიწოდოთ, არამედ ისრაელნიო, რადგან პირველი, ეროვნულ სახელს ნიშნავს უკანასკნელი კი, გამომხატველია მხოლოდ სარწმუნოებისაო.

არ ვიცი, საიდან გამოიგონა ბ-ნმა ავტორმა ამისთანა მტკნარი ტყუილი? ან და რითი ასაბუთებს, რომ ისრაელი და ებრაელი ერთი არ იყოს. თუ იგი ფიქრობს, ვითომც ქართველი ებრაელები ვეკუთნოდეთ იმ ცხრა ნახევარს ტომ ისრაელისას, რომელიც ცალკე სახელმწიფოს შეადგენდა შომრონში ღ დატყვევდენ რამდენიმე ასი წლის წინედ იუდას სახელმწიფოებთან, რომელიც შესდგებოდა ორ ტომ ნახევრიდან ქ. იერუსალიმში დავითის დინასტის მეფეებიდან და ვითომც ჩვენ ქ-ლ ებრაელობა მოუსულვართ იმ ისრაელთა ტომებიდან, ეს ხომ დიდი შეცდომაა, დიდი გაუგებრობაა ავტორისა. კარგათ გაეცნოს ებრაელის ისტორიას და თვით ქართველების ასტორიასაც და დაინახამს, რომ საქართველოში ებრაელები მოსულან მხოლოდ იერუსალიმიდან იმ ორ ნახევარ ტომიდან, რომელიც იუდას ეკუთვნოდა ღ არა ისრაელს.

აფიფიანოსის ხელ ახლად გაოხრებულ იერუსალიმს, ან და 55 წლას შემდეგ ანდრიანოსისის ბითერის გაოხრების დროს, დიდი ებრაელობა მოსულა საქართველოში, რომელნიც დასცილებიან რომში დატყვევებულ ძმებს. იმ დროს ხომ იუდელები იყვნენ და ისრაელნი თითქმის რვა ასი წლის წინეთ იყვნენ მოსპობილნი.

ჩემის აზრით ამაზედ მეტი საბუთი ბ-ნ ავტორს არ უნდა ქონდეს და ესეც-მხოლოდ მის საწინააღმდეგოთ მოწმობს და ძალიან მაკვირვებს ბ-ნმა ხ—შვილმა საიდან გამოიგონა ამისთანა უცნაური სიყალბე და ესეც საკვირველია რომ განათლებულმა სტუდენტმა ისიც ვერ გაიგო, რომ ისრაელიც და იუდაც მხოლოთ ეროვნულ სახელია? მაგრამ თავის ვებერთელა წერილში მას რა უჩანს გაგება, რომ ეს გაეგო.

უნდა მოგახსენოთ, რომ როცა მისი წერილის კითხვა დავიწყე მეგონა, რომ იგი მართლაც ლოღიკურად ფიქრობს ჩემს მიერ წამოყენებულ აზრების გარკვევას, მაგრამ სრულიად მოვსტყუვდი, ჩემგან წამოყენებულ აზრებს მთლად გვერდი აუხვია და შეუდგა გადახვეულ-გადმოხვეულ გზით მოვლას და არც ლანძღვა გინებას მოერიდა.

მთელი თავისის აღშფოთებით ის ამტკიცებს რომ 1) ბააზოვი წმინდა ებრაელია და ამიტომ სიონიზმის მომხრეც 2) თითონ ავტორი კი წმინდა ქართველია და მასში არა ურევია რა ებრაელობისა, ე. ი. ნამდვილი ასი მილიატორია. აბა, ამაზე რა უპასუხო, არც მე ვიცი! 1. მართლაც მე წმინდა ებრაელი ვარ, მწამს მისი სარწმუნოება და უსაზღვროდ მიყვარს ებრაელის ერი. მეორეზედ ხომ სულ ვერაფერს გვიპასუხებთ, თუ თქვენ უნივერსიტეტში ეგ ისწავლეთ, რომ თქვენ ერს უთხრათ: „ჩემი ერი არა ხარო“ მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, თქვენთვის დამილოცნია მაგისთანა სწავლა განათლება!.. მხოლოდ რადგანაც თქვენ წერილში ისე ლაპარაკობთ თითქოს მთელი ქართველი ებრაელები მაგრე ფიქრობენ, როგორც თქვენ და მხოლოდ მე ვიყავი ახლათ შემტანი ებრაელობისა—ხალხში, ამაზე ხმა მაღლა გიპასუხებთ თქვენ სტუდენტო! სტყუით და ატყუებთ სხვებსაც.

მთელი ქართველი ებრაელობა იმისთანავე ებრაელებია, როგორიც არიან რუსეთ-ამერიკისა და თვით პალესტინისა. არაფერი იოტის ოდენი განსხვავება ჩვენში არ არსებობს ეროვნულად და სარწმუნოებრივადაც. ასე ვართ დაკავშირებული რომ ვერაფერი ცრუ მენდელსონის მოსაზრება, მოსეს მოძღვრების, ჩვენ ვიდრე ვარსებობთ ვერ გაგვყოფს და რომ ეს ასეა მე თქვენ ამის დასამტკიცებლად ათასნაირ ფაქტს მოგიყვანთ და თქვენ არც ერთი ფაქტი არ მოგყავთ გარდა ფრაზების რახა-რუხისა.*)

მაქს ნარდაუ ნათან ბირბეცნი, და შაი გურევიჩი ხუთი წელიწადი ეკამათენ ცნობილ ფილოსოფოს ახადაყამს იმის შესახებ, რომ მათის აზრით ყველა ერს შეუძლია ეროვნულად იარსებოს და სარწმუნოება სრულიად არ ექნეს. ნ. ბირბენს მაქს ნორდაუს და შაი ვურტვიჩს მოჰყავთ მაგალითად ფრანგები, რომ იგინი სარწმუნოების ძალით კი არ არიან შეერთებული არამედ ეროვნების ძალით და მათის აზრით ასვე შეუძლია ქმნას ებრაელის ერმაც (ვისაც სურს) ფრანგებივით სრულიად არ სწამდეს სარწმუნოება და ეროვნებით კი ებრაელი იყოს.

ცნობილი ფილოსოფი ახად აყამი კი მათ უმტკიცებდა: ეს შეიძლება და მოხდება მხოლოდ სხვა ერებში და არა ებრაელებშიო. ყველა ერმა თითონ შექმნა სარწმუნოება, ესე იგი, როცა უკვე ერი იყო მაშინ მიიღო სარწმუნოება და მანამდისინაც კი ერად არსებობდა. ებრაელობა კი თვით სარწმუნოებამ შექმნა ერადო, ამიტომ თუ სარწმუნოებას გამოაცლი ებრაელებს, მთლად მოწყვეტილია ებრაელობას ყოველი მხრივ მაგრამ თუ სარწმუნოება ებრაელს სწამს, მხოლოდ მაშინ უკავშირდება ჩვენ ერსაო, რადგანაც ებრაელთ ერის სარწმუნოება და ეროვნება გაუყოფელიაო.

ეს ჭეშმარიტი სინამდვილე თვით მაქს ნარდაუმაც აღიარა და ვერავინ იტყვის იმას, რომ თუ იგი სარწმუნოებით ებრაელია, ეროვნულათაც ებრაელი არ იყოს, რადგანაც ებრაელთ ერის სარწმუნოება იმისთანად არის შემოხვეული ირგვლივ ებრაელით ცხოვრებაზე, რომ ძალაუნებურად თუ კი იგი გწამს, გაკავშირებს მთელ დედამიწის ებრაელობას და თუ კი გინდა ებრაელებს ჩამოშორდე ეროვნულად, ეს შეიძლება მხოლოთ მაშინ, თუ თვით სარწმუნოებაზე ხელს აიღებ.

და თუ თქვენ ბატონო ავტორო ი. ხ—შვილო' სარწმუნოებას ნამდვილად ემსახურებით, აბა ვის ატყუებთ, რომ თქვენ იდეასთან არასოდეს არც ყოფილა და არც იქნება სხვა ებრაელების იდეა აბა ბ-ნო. ავტორო, მიპასუხე: მომავალ ცხრა „აბს“ (ებრაელური თვეა) როცა მთელი ქვეყნიერების ებრაელობა ფეხს გაიხდის, მიწაზე დაჯდება და იგლოვებს თავის სამშობლო „პალესტინას“ და თავის ერის დაფანტვას, მთელ დღეს ამარხულებს და საღამოზე კი გულს გაიმაგრებს და ამოიძახებს: „უფალო ღმერთო, გვაკმარე ტირილი სიონზე, გლოვა იერუსალიმზე, დაგვაბრუნე ჩვენ და ჩვენი ერი სიონში, სწრაფათ აგვიშენე იერუსალიმიო“ ეს რაა, იდეაა, თუ არა? ვსთქვათ პასიურია და არა აკტიური, მაგრამ არის თუ არა აქ იდეა? ამ დროს რას შვრებით თქვენ ქართველნო ისრაელნო, თქვენ და თქვენი მოაზრე თუ მოპირდაპირე რაბინი ელიაშვილი?

რაბინი დ. ბააზოვი.

(შემდეგი იქნება)

*) ვბეჭდავთ უცვლელად. ვრცელ შენიშვნას ხვალინდელ წერილს გაუკეთებთ.

*) მიხაკო ხანანაშვილის და დიდათ პატივცემული ივ. გომართლის მოსაზრება ამის შესახებ სრულიად უსაბუთოა.

---

და ყელში ძვალსავით დაადგება ხოლმე, ნამეტნავად საცა და როცა არ უჯობს, ყოველივე ეს შესაძლოა და კისრადაც მიდვია, მაგრამ ნუ თუ ეს ამბავი, თუნდაც გლეხის მიერ ნაამბობი, ისეთი რამ არის, რომ კაცმა კაცი გასაბიაბრუებლად გამოიმეტოს?

რაკი საქმე იმაზე მიმდგარა, რომ ავტორს სდომებია ამისთანა ამბებით ფონს გასვლა, სჩანს საფანელი ძალიან დაჰკლებია და მე ისეთი ავი კაცი არა ვყოფილვარ, როგორც ჰსურვებია გამოვეყვანე, თორემ, მე იმის კეთილი გულის ამბავი რომ ვიცი, აბა რას დამზოგავდა.

ღმერთმა ჰქნას, თვითეული ჩვენგანი და ჩვენთან ერთად თვით იმისთანა წმინდა წყლის კაცი, როგორიც კორესპონდენტია, ამისებრ დანაშაულის მეტს სხვა არას ჰგრძნობდეს წინაშე ადამიანისა საერთოდ და გლეხკაცისა საკუთრივ.

ალბად თვითონ ავტორსაც უგვრძნია, რომ აქ ხელჩასაკიდებელი მაგდენი არა არის-რა, რომ ჩემს ამისთანა საქციელს რაც შეიძლება მეტის ავზნეობის ფერი მოსცხოს, აულია და მოუჭორებია, ვითომც გლეხი მელანძლოს უშვერის სიტყვით. ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში, ამერ-იმერეთის ქართველთ გარდა, ბევრ სხვადასხვა მილეთის ხალხთან მქონია საქმე, ბევრი სომეხი, რუსი, თათარი მებაღეებად, მწყემსებად, მოსამსახურეებად მყოლია. ზოგი ამათგანი ათი-ოცი წელიწადია რაც ჩემთან არის და აბა ერთი ვინმე წამომიყენეთ, რომ ჩემის პირისაგან ამოსული ლანძღვა გინება ოდესმე გაეგონოთ და ისიც უშვერის სიტყვებით, თუმცა, იქნება, ბევრჯერ გავჯავრებივარ და დამიტუქსავს კიდეც.

ილია ჭავჭავაძე.

(შემდეგი იქნება).

---

## პასუხი

### „ახალი „კვალის“ რედაქციას.

(იხილეთ „ახ. კვალი“ № 29)

არ ვიცი, ღმერთმანი, საიდან დავიწყო ჩემი პასუხი!

მინდა კი ვაგრძნობინო მკითხველებს, დაუმტკიცო არა მარტო პატივცემულ გაზეთ „ახალი კვალის“ რედაქციას, არამედ ქუთაისის მთელ გუბერნიას, რომ მე, —დავით ბაგრატიონი,—შეუძლებელია ვიყო ისეთი შავბნელისა და მხეცურის მიმართულებისა, როგორადაც მახასიათებს „ახალი კვალის“ მოამბე.

ეს რამდენიმე ხანია, რაც სისტემატიურად, ერთ გვარის შემპარავისა და მოხერხებულის კილოთი, ერთგვარის ხრიკებითა და ვითომდა ხალხისადმი გულშემატკივრობით—გაზეთებში მიწერენ ათასგვარი ცილისწამებით სავსე წერილებს და სცდილობენ დამახასიათონ ისეთ „მებატონედ“, რომელსაც არა აქვს არც გული, არც მოსაზრება, არც შებრალება, არც უბრალო ადამიანობაც კი!

მაგრამ განა ეს წარმოსადგენია? განა ეს სიმართლის მოყვარეობა და სამართლიანობაა?

განა ეს ხალხის სიყვარულით გამოწვეული ღაღადისია?

ჯერ მარტო პიროვნების ასეთი დამცირება—ვინც უნდა იყოს ის, თავადი თუ გლეხი—როგორადაც მე მამცირებენ, ჰმოწმობს ბატონ კორესპონდენტების არა კეთილ განწყობილებასა და უსამართლობას, (რასაკვირველია, იმ კორესპონდენტებისა, რომლებიც ასე მამცირებენ.)

მათი საქციელი ხალხის სიყვარულს კი არ ამტკიცებს, პირიქით ისინი სთესვენ ღვარძლს ხალხში და ყველას უბრალოდ აძულებენ ჩემ თავს, როდესაც, ღმერთმა ხომ იცის, ისეთი დიდი დანაშაული არა მიმიძღვის რა ამავე ხალხის წინაშე.

ნუ მიიღებთ მხედველობაში, რომ მე,—როგორც თვით ბ-ნი კორესპონდენტი ბრძანებს—„საქართველოს მეფის გვარეულობის უკანასკნელი შვილი ვარ“—და, მაშასადამე, უფრო ბევრად მეტად უნდა მიყვარდეს ის ხალხი, რომელიც შეადგენს საფუძველს საქართველოისას—გლეხები.

ნუ იანგარიშებთ იმასაც, რომ მე „საქართველოს მეფის გვარეულობის უკანასკნელი შვილი“ ვერ ვიქნები ისეთი ბრიყვი, რომ „ჩემ ბიჭს ერთი გახროგილი ცხენი ჰენებით მოეკლას“ და მე კი სოფელი ამეწიოკებიოს“! (განა ეს წარმოსადგენია?).

ნუ გაიხსენებთ იმასაც, რომ მე „საქართველოს მეფის გვარეულობის უკანასკნელი შვილი“ არ ვიკადრებ (დიაღ, არ ვიკადრებ, ამის ნებას ჩემი მდგომარეობა არ მაძლევს!) რომ „ჩემს ოჯახში მოზვერი შეეჭამოთ (დაუკლავადა დამოუხარშავად ხომ ვერ შევჭამდით, ბატონო კორესპონდენტო?!) და მე კი სოფელი „სამი გზით“ ამეწიოკებინოს. (ე. ი. სამჯერ გადავახდევინე სოფელს მოზვრის ფასი?) განა ეს დასაჯერებელია, ბატონო მოამბევ? მაშინ ბაგრატიონი კი არა, შანტაჟისტი ვყოფილვარ! აბა, რად აკადრებთ ასეთს შეურაცხყოფას ან თქვენ კალამს და ან მე!

თქვენ იფიქრეთ და იანგარიშეთ ის გარემოება, რომ მე სრულიად ახალგაზდა კაცი გახლავართ, ვსწავლობდი და გავიზარდე ხალხის დიდი მოძრაობის დროს, ვიცი და ვხედავ: როგორი გამწვავებული დამოკიდებულებაც დამყარდა მესაკუთრესა და გლეხებს შორის, ვიცი ისიც, რომ „ნაბატონარის“ ბუზიც კი აქლემადა სჩანს ხოლმე, ვიცი ისიც, რომ უბრალო, უნებლიეთ შეცდომასაც კი არ გვაპატიებენ ხოლმე „ჩვენი ხალხის გულშემატკივარნი“ და ყველაფერს ჩვენ დასამცირებელ საშუალებად გამოიყენებენ და... მაშასადამე, რა ისეთი დაბალი ლობე მნახეთ, ბატონო კორესპოდენტო, რა ისეთ უაზროდ წარმოგიდგენივართ, ბ-ნო მწერალო, რომ თვალით დასანახსა და ხელით შესახებ ბოროტმოქმედებას მწამებთ?..

არ არის ეს ჭკუასთან ახლო, თორემ თქვენი საქმისა, რასაკვირველია, თქვენ უფრო იცით.

მე ვიმედოვნებ, რომ ბრიყვისა, ბოროტისა და განგებ დაბრმავებულის მეტი არავინ დაგიჯერებთ, რომ „მოზვერი მე შემეჭამოს“ და მისი საფასური კი სოფლისათვის გადამეხდევინებიოს!..

მე არავითარი საშუალება არა მაქვს დაგიმტკიცოთ წინააღმდეგი, გარდა პატიოსანი სიტყვისა: არა ვარ ამისთანა საქმეების ჩამდენი და ვერც ვიქნები ორგანიულად, ვინაიდგან ჩემი ყოფნა და ჩემი შეგნება ბევრათ მაღლა სდგას თქვენგან მოწერილ საქმეებზე.

როგორ გგონიათ ბატონო კორესპონდენტო, თუ კი თქვენ იცით, რომ საბალახოს ხელმეორედ გადახდევინება“ ბოროტებაა, მე „საქართველოს მეფის გვარეულობის უკანასკნელ შვილს“ რა ღმერთი გამიწყრა, რომ ბოროტება სიკეთისაგან ვერ გავარჩიე და ჩემი თავის მტერი მევე გავხდი?!.

თუ თქვენ არ იცით, მე მოგახსენებთ, რომ ასეთმა არამც თუ საქციელმა, არამედ უბრალო ცილისწამებამაც კი ბევრი უმანკო სისხლი დაღვარა და მე კი სრულიადაც არა მსურს მსხვერპლი გავხდე „ჩემ მიერ შექმნული მოზვრებისა“, ან „ჩემი ბიჭისაგან ჰენებით მოკლულ გახროგილი ცხენისა“.

გარწმუნებთ, ასე უბრალოდ არ წავაგებ თავს...

დავით ბაგრატიონი.

(შემდეგი იქნება).

---

### ჩვენი ფოსტა.

**თბილისი. სომხურ გაზეთებს: „ჰორიზონსა“ და „პაიქარს“.** თქვენი ბედია, რომ [illegible] ერთმა ქართველმა არ იცის [illegible] ბავთ, იმასა სწერთ ქართველებისა და ქართული გაზეთების შესახებ!

როგორც „თანამ. აზრის“ ას ოცდა მერვე ნომერში (№ 148) ამოვიკითხეთ, ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ, დასაბუთებულსა და უტყუარ ისტორიულ ფაქტებზე დამყარებულ ბ-ნ ზ. ჭ-ის წერილებს **ქართველ გრიგორიანების** შესახებ თქვენ თურმე **სისულელე** უწოდეთ

ჩვენ კიდევ მოგახსენებთ, რომ **სულელი** ის არის, ვინც თავის თავს ატყუებს და ვინც სამართლიანობას ჰღალატობს, რაც თქვენს უბანში უფრო ხშირად ხდება.

ამასვე მოგახსენებთ ჩვენებურ „მარქსის შვილების“ გაზეთს, რადგანაც მას „ჰორიზონისა“ და „პაიქარის“ გულწრფელობა უფრო სწამს, ვიდრე ჩვენი, და მათ **სიტყვებს იმეორებს.**

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**



### რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 „ |
| შორაპნიდან | - დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 20 „ |

**მუშაოზს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასევაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით. თ.

# ავი სენი.

უთველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიუავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, მხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დევეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)